ევროკავშირი
საქართველოსთვის

ონის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებების და შესაძლებლობების კვლევა

ივეტა გოგავა
2024 წელი

ევროკავშირი
საქართველოსთვის

Empowering People for Change

კვლევის ანგარიში მომზადდა კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის (CTC) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **"სამოქალაქო საზოგადოების *ინიციატივა:*** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის"* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია კვლევის ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, კონრად ადენაუერის ფონდის და კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (**KAS**) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (**CSRDG**), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (**CSI**), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (**CTC**), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (**EDEC**) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (**IEP**).

შესავალი

თითოეული ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას ძლიერი თემის მშენებლობა წარმოადგენს. დევიდ ჩევისისა და კინ ლის მიხედვით, თემის მშენებლობა ეფუძნება ნდობას, ზრუნვას, დაცულობისა და მიკუთვნებულობის შეგრძნებას, რაც ხელს უწყობს თემის წევრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაზრდას და მოუწოდებს მათ საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომით წვლილი შეიტანონ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე მცხოვრები ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.[1]

სამეცნიერო ლიტერატურა თემის რამდენიმე განსაზღვრებას გვთავაზობს: ა) თემი, როგორც გეოგრაფიული სივრცე - კონკრეტულ არეალზე მცხოვრები სოციალური ჯგუფი, რომელიც ერთმანეთთან საერთო სივრცით არის დაკავშირებული, მაგ. სამეზობლო, სოფელი, უბანი, ამხანაგობა, ქალაქი და ა.შ. ბ) თემი, როგორც საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ერთობა - საზოგადოებაში მცხოვრები კონკრეტული ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება საერთო ინტერესითა და ღირებულებებით, მაგ. პენსიონერები, მემარცხენეები, პროფესიული ჯგუფები და ა.შ. გ) თემი, როგორც საერთო გამოცდილების ირგვლივ გაერთიანებული ერთობა - საზოგადოებაში მცხოვრები ჯგუფები, რომელთაც საერთო წარსული, ისტორია, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები აერთიანებთ, მაგ. საერთაშორისო საზოგადოება; ერი; დ) საერთო პრობლემების / გამოწვევების ირგვლივ გაერთიანებული ერთობა - ერთ სივრცეში ან გლობალურად საერთო პრობლემის ირგვლივ გაერთიანებული ინდივიდების ერთობა, რომელთაც ერთი კონკრეტული პრობლემის ან პრობლემების მოგვარება სურთ, მაგ. ქალთა უფლებების დამცველები; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები; საინიციატივო ჯგუფები; საგანმანათლებლო ცენტრები; და ა.შ. [2]

აღსანიშნავია თემის განსაზღვრების კრიტიკული პერსპექტივა, რომელიც ამტკიცებს, რომ თემი არ შეიძლება მხოლოდ გეოგრაფიულად იყოს შემოსაზღვრული. ნებისმიერ გეოგრაფიულ არეალში ბევრი მიკრო თემი იქნება წარმოდგენილი. ამგვარად, თემი მხოლოდ ურბანულ დაგეგმარებას კი არ წარმოადგენს, არამედ იქმნება ოჯახების, მეგობრების, სამუშაო ადგილების, კოლეგების და სხვათა გარშემო. [3]

---

[1] David M. Chavis, Kien Lee, "What is a Community Anyway?", Stanford Social Innovation Review, May 15, 2015;

[2] Merriam-Webster Dictionary, "Community", 12/05/2022; Community Definition & Meaning - Merriam-Webster

[3] გაბუნია მ., დალაქიშვილი თ., ვაშაკიძე ნ., (2021), სათემო მუშაობა და სათემო მენტორინგი, მენტორ ჰაბი, გვ. 5

კრიტიკულ ხედვას იზიარებს პატნემიც, როცა თემს სოციალურ კაპიტალს ადარებს. ერთის მხრივ, სოციალური კაპიტალი თემის შიგნით ეფექტური ურთიერთობის აწყობას მოიაზრებს და მეორეს მხრივ სოციალური ჯგუფის ირგვლივ არსებულ სოციალურ კავშირებს მოიცავს და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. სოციალური კაპიტალის ეს ფორმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამშრომლობის, თემის წევრებს შორის ინფორმაციის მიმოცვლისა და კოლექტიური ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.[4] თემის განვითარების კონტექსტში, თემის შიგნით არსებული კავშირები აძლიერებს თემს, ავითარებს რესურსების მობილიზების უნარს, ორიენტირებულია საერთო გამოწვევებზე და კრიზისების უფრო ეფექტურად მართვის შესაძლებლობას აძლევს.[5]

ფილდის (2003) და პატნემის (2001) თანახმად, ითვლება, რომ ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ ძლიერი სოციალური კაპიტალი:

- საკუთარ თავებს სხვადასხვა თემის ნაწილად გრძნობენ;
- იღებენ მონაწილეობას ადგილობრივ ქსელებსა და ორგანიზაციებში;
- ეხმარებიან სხვებს გასაჭირის დროს;
- დაგეხმარებიან, როცა ამის საჭიროება და შესაძლებლობა არსებობს. [6]

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) თემის განვითარებას აღწერს, როგორც პროცესს, სადაც თემის წევრები ერთობლივი ქმედებებით იღებენ გადაწყვეტილებას საერთო გამოწვევებისა და პრობლემების მიმართ. [7] ამიტომაც, თემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მონაწილეობითი მიდგომა, რათა თემის წევრებს გაუჩნდეთ მეტი პასუხისმგებლობა საკუთარ თემზე. ჰორიზონტალური და თანასწორობაზე დაფუძნებული მონაწილეობა გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც თემის წვრები თავს გრძნობენ დაცულად და თავისუფლად საუბრობენ სხვადასხვა საკითხზე. თემის განვითარება შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

---

[4] Fukuyama, F. (2015). Social Capital and Civil Society. In The Oxford Handbook of Civil Society (pp. 190-203). Oxford University Press.

[5] Szreter, S., & Woolcock, M. (2004). Health by Association? Social Capital, Social Theory, and the Political Economy of Public Health. International Journal of Epidemiology, 33(4), 650-667. DOI: 10.1093/ije/dyh013

[6] Field, J (2003) Social Capital. Routledge: London

[7] "Community development". UNTERM. Archived from the original on 14 July 2014. Retrieved 25 July 2024; იხ. ბმული: https://bit.ly/3FJn3ZA

- **თვითკმარობა**, რაც გულისხმობს თემის დამოუკიდებლობას და სიძლიერეს, შესაბამის ადამიანურ, ფინანსურ და სხვა ტიპის რესურსებს მდგრადი განვთარებისთვის.
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში **მონაწილეობა** გულისხმობს, რომ თემი თანამშრომლობს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, ემუშავება თითოეულ მხარდამჭერს და მათთან მუდმივი კონსულტაციით იღებს თემისთვის საჭირო გადაწყვეტილებებს.
- თემის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია თემის თითოეული წევრისგან **კოლექტიური პასუხისმგებლობის გააზრება**. ამ დროს თითოეული წევრი თემის განვითარებასა და მის კეთილდღეობაზე იღებს პასუხისმგებლობას და აცნობიერებს იმას, თუ რას ნიშნავს თემის წევრობა. [8]

თემის განვითარების პროცესი ემყარება სათემო განვითარების ხუთ ძირითად ღირებულებას, რომლებიც ციკლურია და წარმოიშობა დაგეგმვის შედეგად, თუმცა, ასევე, ის შეიძლება შეიცვალოს და მოიცავს ქვევით ჩამოთვლილ ყველა ან ზოგიერთ საფეხურს:

- თემის გაცნობა, მნიშვნელოვანი ადამიანები და ორგანიზაციები;
- თემის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და პრიორიტეტის მინიჭებაში დახმარება;
- კოლექტიური ინიციატივების მხარდაჭერა;
- გამოცდილებების გაზიარება და ცოდნის მხარდაჭერა;
- ჯგუფების გაძლიერების მხარდაჭერა;
- ჯგუფებისა და ინდივიდების შეფასებებისა და რეფლექსიების წახალისება.

თემის განვითარების საქმიანობას სათემო მუშაობას უწოდებენ, რომელიც აკადემიურ ლიტერატურაში სათემო ზრუნვის, სათემო მენტორინგის, სათემო ეკონომიკური განვითარების, სათემო განათლების და სხვა ტერმინებით შეიძლება შეგვხვდეს. თუმცა რაც ამ ყველა ტერმინს აერთიანებს თემის თითოეულ წევრთან ინდივიდუალური მიდგომა, მხარდაჭერა და ემპათიის გამოხატვაა.

საინტერესოა განვიხილოთ, შერი არშტაინის სამოქალაქო მონაწილეობის საფეხურები, რომელიც როგორც ფართო საზოგადოების, ასევე კონკრეტული თემის მონაწილეობის დინამიკას კარგად აღწერს: მონაწილეობის საფეხურებია:

1. მანიპულირება
2. თერაპია

[8] Frank A., Smith F., (1999) The Community Development Facilitators Guide; Human Resources Development Canada, p. 73-80

3. ინფორმირება
4. კონსულტირება
5. დამშვიდება
6. პარტნიორული ურთიერთობები
7. უფლებამოსილების დელეგირება
8. მოქალაქეთა კონტროლი

პირველი ორი საფეხური მონაწილეობის ყველაზე დაბალ დონეებს წარმოადგენს და მათი მიზანია ადამიანთა მონაწილეობის შეზღუდვა პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მესამე და მეოთხე საფეხურები კი საშუალებას აძლევს პროცესის მონაწილეებს, აზრი გამოთქვან და თავიანთი მოსაზრება გააჟღერონ. მეხუთე საფეხური ე.წ. სიმბოლურ დონეს წარმოადგენს, სადაც ადამიანებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ შეუძლიათ, გადაწყვეტილების მიღება ისევ ძალაუფლების მქონეთა პრეროგატივაა. ბოლო სამი საფეხური კი მონაწილეობის უფრო მაღალ დონეს წარმოადგენს და ადამიანს განიხილავს, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამონაწილეს. [9] აღნიშნული თეორიული წანამძღვარი შესაძლოა კონცეპტუალურ ჩარჩოდაც გამოგვადგეს თემში ადამიანების მონაწილეობის უკეთ დასანახად.

ბრიტანული პლატფორმა Target Jobs სათემო მუშაობასა და სათემო მუშაკებს შემდეგნაირად განსაზღვრავს: "სათემო მუშაკები (ასევე, ცნობილია, როგორც სათემო განვითარების მუშაკები) ეხმარებიან სხვადასხვა ნიშნით მარგინალიზებულ ჯგუფებს იმ პრობლემებთან გამკლავებაში, რომლებსაც ისინი აწყდებიან. ზოგჯერ ისინი მთელს თემთან მუშაობენ, თუმცა, მათ ასევე შეუძლიათ კონკრეტულ ჯგუფებზე, მაგალითად, ქალებზე ან იძულებით გადაადგილებულ პირებზე, მოახდინონ ფოკუსირება. მათი როლის მნიშვნელოვანი ნაწილია სამიზნე ჯგუფების და დაუცველი თემის ხმისა და საჭიროებების ადვოკატირება პოლიტიკის გამტარებლებთან როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე." [10]

სათემო მუშაობის თითქმის ყველა აქტივობა მიზნად ისახავს საზოგადოებაში გარკვეული სახის პოზიტიური სოციალური ცვლილების მიღწევას. სინი (2002) სოციალური ცვლილებების ოთხ

---

[9] Arnstein, Sherry R. "A Ladder of Citizen Participation," JAIP, Vol. 35, No. 4, July 1969, pp. 216-224 4

[10] იქვე, გვ. 6

თემას წარმოდგენს, რომლებიც სათემო მუშაკს საშუალებას აძლევს, დაფიქრდეს საკუთარ პრაქტიკაზე სოციალური ცვლილებების პრიზმაში. ეს თემებია:

- **სოციალური სამართლიანობა:** თანაბარი შესაძლებლობები და ადამიანის ყველა უფლების დაცვა;
- **სოლიდარობა:** ერთიანობა, ემპათია, თანამშრომლობა და ასოციაციური ცხოვრება;
- **თანამონაწილეობა:** შესაძლებლობა ყველასთვის, შეასრულონ მნიშვნელო- ვანი როლი საზოგადოების განვითარებაში;
- **უსაფრთხოება:** ფიზიკური საფრთხეებისგან დაცულობა. [11]

სათემო განვითარების აქტივობების უკეთ დასაგეგმად მნიშვნელოვანია თემის საჭიროებათა კვლევა, რომლის მიზანიცაა შერჩეული თემის უკეთ გაცნობა, მათი პრობლემების იდენტიფიცირება, საჭიროებების გამოკვეთა და განსხვავებული ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენა. თემის საჭიროებათა კვლევა შემდეგ ნაბიჯებად იყოფა:

1. **გამოკითხვა:** სათემო მუშაკი მუშაობს კვლევის კითხვარზე, რომელიც როგორც წესი, მოიცავს თემის ცხოვრების ძირითად ასპექტებს, მაგ. ხელმისაწვდომობა რესურსებზე და საჯარო სერვისებზე, ახალგაზრდების ჩართულობა, საზოგადოება და მრავალფეროვნება; აღნიშნული კითხვარის შედგენისას სათემო მუშაკი მაქსიმალურად ითვალისწინებს გარემოს, თემში არსებულ გამოწვევებს და თემთან კომუნიკაციის საკითხებს.

2. **მოსმენა და მონაცემების შეგროვება:** სათემო მუშაკი ისმენს, იწერს და ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას ყოველგვარი განსჯის გარეშე. გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხების გარდა მნიშვნელოვანია, სათემო მუშაკი აკვირდებოდეს რესპონდენტების დამოკიდებულებას თითოეული კითხვისა და თემის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების მიმართ და ეძიებდეს მის განმაპირობებელ მიზეზებს.

3. **მონაცემების ანალიზი:** გამოკითხვის ჩატარებისა და საჭირო მონაცემების შეგროვების შემდეგ, თემის მუშაკი აანალიზებს კვლევის პროცესს, შეგროვებულ პასუხებს და მოსმენილ ინფორმაციას. სათემო მუშაკი თითოეული მიმართულებით მიხედვით გამოყოფს სამ ძირითად პრობლემას/გამოწვევას ან ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებზეც მისი კვლევის განმავლობაში რესპონდენტები საუბრობდნენ.

ამიტომაც, თემის საჭიროებათა ანალიზის მთავარი მიზანია, შეისწავლოს კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე არსებული გარემო თემის განვითარებისთვის საჭირო პროგრამების უკეთ დასაგეგმად, გამოიკვლიოს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები, ინტერესები და

[11] Thin, N (2002) Social Progress and Sustainable Development. London: ITGD Publishing

შესაძლებლობები თემის განვითარებაში მათი უკეთ ჩართულობის უზრუნველსაყოფად და გააჩინოს თემის წევრებში მეტი პასუხისმგებლობისა და მიკუთვნებულობის შეგრძნება საკუთარი თემის განვითარების მიმართ. კვლევის შედეგები საშუალებას მისცემს სათემო მუშაკს და თემის წევრებს, გამოკვეთონ თემის განვითარებისთვის საჭირო მიმართულებები, დაგეგმონ შესაბამისი აქტივობები თემის გაძლიერებისთვის და გააძლიერონ თემის წევრებს შორის ეფექტური კომუნიკაცია.

კვლევის მეთოდოლოგია

ონის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებების და შესაძლებლობების შესასწავლად დაიგეგმა პროექტი „ზემო რაჭის თემის საჭიროებები და შესაძლებლობები“, რომელიც მიზნად ისახავდა ონის მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, აქტივისტებისა და აქტიური მოქალაქეების ერთობლივი მუშაობის გაძლიერებასა და საზოგადოების საჭიროებებზე მიმართული საქმიანობების განხორციელებისათვის თანამშრომლობას. პროექტის ამოცანად განისაზღვრა სათემო საჭიროებების და შესაძლებლობების კვლევის მომზადება, რომელმაც შეისწავლა ონის მუნიციპალიტეტში არსებული რესურსები და შესაძლებლობები სათემო განვითარების აქტივობების უკეთ დასაგეგმად. კვლევა სამ ძირითად მიმართულებად დაიყო: თემის განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა, თემის ტურისტული პოტენციალის განვითარების შესაძლებლობები და გარემოსდაცვითი საკითხები. აღსანიშნავია ისიც, რომ გარემოსდაცვითი საკითხები იკვეთებოდა კვლევის ფარგლებში გამოყენებული რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტის ინსტრუმენტებში კლიმატის ცვლილებისა და გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებისა და ინტერესის უკეთ შესასწავლად. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენებამ განაპირობა თემში არსებული მდგომარეობის სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობა. ამასთანავე, არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების განსაზღვრის საფუძველზე პროექტის გუნდს მიეწოდა რეკომენდაციები თემის განვითარებისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვისთვის.

ონის მუნიციპალიტეტის კონტექსტის უკეთ აღქმის, არსებული სერვისებისა და მისი შესაძლებლობების გაცნობიერებისთვის დაიგეგმა **სამაგიდე კვლევა,** რომელმაც განიხილა ონის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია, ონის ტურისტული პოტენციალი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ანგარიშები და სხვა რელევანტური დოკუმენტები. თითოეულ დოკუმენტზე მუშაობისას გათვალისწინებული იყო ონის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებები და შესაძლებლობები.

მოსახლეობის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ანალიზისთვის გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი **ანკეტირება,** რომლის ძირითადი მიზანი გახლდათ თემის განვითარებასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ხედვის განსაზღვრა, მათი ინფორმირებისა და ჩართულობის დონის შეფასება და თემის განვითარებაში უკეთ ჩასართავად საჭირო საგანმანათლებლო რესურსები. ანკეტირების შედეგად გამოიკითხა ონის მუნიციპალიტეტის მცხოვრები მაქსიმუმ 75 ადამიანი შემდეგი ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით: <18, 18-29; 31-44; 45-59; 60+; კვლევის კითხვარი გავრცელდა როგორც ონლაინ, ასევე ფიზიკურად და თემის მოსახლეობას საშუალება ჰქონდა შეევსო თვითადმინისტრირებადი კითხვარი ტელეფონის/პლანშეტის ან ამობეჭდილი კითხვარის სახით. ანკეტირებისას გამოყენებულ იქნა ალბათური (მიზნობრივი) და არაალბათური (ხელსაყრელი) შერჩევა. გამომდინარე იქედან, რომ კითხვარი გავრცელდა ონლაინ, ონის მუნიციპალიტეტის თემში მცხოვრებ თითოეულ რესპონდენტს შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის არათანაბარი შანსი

ჰქონდათ. პრინციპი იგივე დარჩა საველე სამუშაოებისასაც, რადგან ძირითადად გამოიკითხებოდა ეზოში, ქუჩაში, მაღაზიასა და საჯარო სივრცეებში მყოფი რესპონდენტები. თუმცა კვლევამ გაითვალისწინა ალბათური შერჩევის ელემენტებიც და გამოიყენა შემდეგი კრიტერიუმები: სოფლის სიდიდე და დასახლების სიმჭიდროვე, ასევე რესპონდენტის ასაკობრივი კატეგორია (საველე სამუშაოების დროს ძირითადი აქცენტი კეთდებოდა 46-65 და 65+ ასაკობრივ კატეგორიაზე, რომელთაც შესაძლოა ნაკლებად მიუწვდებოდათ ხელი ონლაინ კითხვარზე) და დასახლების ტიპი (დასახლების ტიპში იგულისხმება ქ. ონთან კონკრეტული სოფლის სიახლოვე/სიშორე). რაოდენობრივი კითხვარის შედეგები გაანალიზდა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, რომელთა შორისაცაა რეგრესიული ანალიზი, კორელაციის ანალიზი კვლევისთვის მნიშვნელოვანი ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულების უკეთ დადგენისთვის.

მოსახლეობის ტურისტული პოტენციალისა და თემის განვითარებაში ჩართულობის საკვლევად გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდი **ფოკუსჯგუფის დისკუსია,** რომელმაც შეისწავლა კონკრეტული ჯგუფების (სათემო ლიდერები, ადგილობრივი მეწარმეები, ტურისტული სააგენტო/კლასტერი) დამოკიდებულებები თემში არსებული განვითარების შესაძლებლობების, მათ შორის ტურისტული შესაძლებლობების მიმართ. მომზადდა ორი სადისკუსიო გეგმა: თემის განვითარებაში ჩართულობისთვის არსებული რესურსებისა (სამიზნე ჯგუფი: სათემო ლიდერები, აქტიური ახალგაზრდები) და ტურისტული პოტენციალის შეფასებისთვის (სამიზნე ჯგუფი: ადგილობრივი მეწარმეები და აქტიური ლიდერები). ფოკუსჯგუფების რესპონდენტების შერჩევისას გამოყენებული იყო ალბათური (მიზნობრივი) შერჩევა, შესაბამისად პროექტის გუნდთან კონსულტაციის შედეგად შერჩეულ რესპონდენტებს წინასწარ გაეგზავნათ მოწვევა ფოკუსჯგუფ დისკუსიაზე. საბოლოოდ, ფოკუსჯგუფ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 14-მა ადამიანმა (8 სათემო ლიდერი, 6 ადგილობრივი მეწარმე). თვისებრივი მონაცემების გასაანალიზებლად გამოყენებული იყო კოდირება, საკვანძო ცნებების, იდეების ამოღებისა და მათი მოკლე შეჯამებების მოსამზადებლად. კოდირებისას გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება: თემში არსებული მდგომარეობა/გამოწვევები და კონკრეტული სამიზნე ჯგუფის ხედვა და შესაბამისად, მონაცემების ორგანიზებაც ამ მიმართულებით წარიმართა.

კვლევის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს კვლევის მასშტაბი და მოცულობის შესაძლებლობა. კვლევა როგორც ინსტიტუციურ დონეზე, ასევე თემის შიგნით არსებული პრობლემების, გამოწვევებისა და საჭიროებების დანახვის და პრაქტიკაში განხორციელებისთვის საჭირო მექანიზმების დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ შერჩევის დიზაინზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას, რაც კვლევას შეზღუდვებს უწესებს. შეზღუდული დროითი ჩარჩოდან გამომდინარე გამოკითხვის და ფოკუს ჯგუფის ჩატარება ხდება ონლაინ, რაც შესაძლოა პოტენციური რესპონდენტებისთვის სირთულეს წარმოადგენდეს (ინტერნეტზე წვდომის არ ქონა; არასტაბილური ინტერნეტი; პირადი სამუშაო/სასაუბრო სივრცის არ ქონა). საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, შერჩევის დიზაინი ვერ იქნება ალბათური და

მიღებული შედეგების განზოგადება ვერ მოხდება ონის მუნიციპალიტეტის მთლიან პოპულაციაზე. თუმცა თვისებრივი კვლევა საშუალებაა, გამოავლინოს რეგიონში თემის განვითარებაში ჩართულობის თუ ტურიზმის განვითარების მიმართულებით არსებული პრობლემები, გამოწვევები და შეიმუშავოს შესაბამისი რეკომენდაციები.

სამაგიდე კვლევის შედეგები

სამაგიდე კვლევა მიზნად ისახავდა ონის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის და გარემოს შეფასებას ადგილობრივი თვითმმართველობის ხედვისა და არსებული პროგრამების უკეთ გააზრებით, თემში ჩართულობის და ტურისტული პოტენციალის შესწავლას აქამდე არსებული კვლევების მეშვეობით. აღნიშნულმა დოკუმენტებმა გამოავლინა ონის მუნიციპალიტეტის თემში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობისა და თემის ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. კვლევის განმავლობაში გაანალიზდა შემდეგი დოკუმენტები:

1. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025
2. დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025
3. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა 2020
4. ონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი
5. ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმის სექტორის კლასტერის დიაგნოსტიკური კვლევა
6. მოსახლეობის დამოკიდებულებები მუნიციპალური მუნიციპალური საქმიანობის და სერვისების მიმართ 2023
7. ადგილობრივი თვითმმართველობების ინდექსი: საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება 2023

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, ონის მუნიციპალიტეტში 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 5 300 ადამიანი ცხოვრობს, რაც ბოლო ათეული წლის მანძილზე ყველაზე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს. [12] აღსანიშნავია ისიც, რომ მზარდი გადინების ტენდენცია არის მაღალმთიანი რეგიონების სოფლებიდან [13], რადგან საქალაქო დასახლებებში მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკვეთრად არ შეცვლილა. [14]

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალური ვებგვერდის მონაცემებით, ონის ინფრასტრუქტურული საკითხები და მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა დადებითად არის შეფასებული, რაც გამოისახება შემდეგ მაჩვენებლებში: მუნიციპალიტეტის სრული ელექტროფიკაცია, ქალაქში გამართული კომუნიკაციები და სათანადო ინფრასტრუქტურაზე წვდომა, გაზიფიცირების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები სოფლებში, ქალაქის

---

[12] მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით, 1 იანვრის მდგომარეობით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ინფორმაცია მიღებულია 2024 წლის 15 ივლისს; დამატებითი ინფორმაციისთვის: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

[13] ონის მუნიციპალიტეტში 2500 ადამიანი ცხოვრობს საქალაქო დასახლებაში (ქ. ონში), მაშინ როცა 2800 ადამიანი ცხოვრობს ონის მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებებში.

[14] მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონებისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით, 1 იანვრის მდგომარეობით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ინფორმაცია მიღებულია 2024 წლის 15 ივლისს; დამატებითი ინფორმაციისთვის: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

საკანალიზაციო ქსელი, სანიაღვრე არხები, გზის დამცავი კედლები, გაუმჯობესებული სასმელი წყლით მომარაგება სოფლებში.[15]

აღსანიშნავია ისიც, რომ ონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 პრიორიტეტების დოკუმენტში ხაზგასმულია იმ ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელობა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობას უზღუდავს და ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. გეგმის მიხედვით, პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსდება. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარებისთვისაა მნიშვნელოვანი. [16]

საგანმანათლებლო სერვისებზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით, მუნიციპალიტეტში არსებობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, ფუნქციონირებს 9 საჯარო სკოლა და 3 არაფორმალური საგანმანათლებლო პროფილის დაწესებულება. თუმცა 2023-2026 წლის პრიორიტეტულ მიმართულებებშია განათლება, რომელშიც დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი მიენიჭება სკოლამდელ განათლებას. მომდევნო წლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა. [17]

ჯანდაცვის მიმართულებით ონის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის ონის ცენტრალური საავადმყოფო და 12 ამბულატორია. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისა და მათი სოციალური

---

[15] *მდებარეობა, განლაგება და მუნიციპალური ცენტრები. ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალური ვებგვერდი. ინფორმაცია მიღებულია 2024 წლის 19 ივლისს; დამატებითი ინფორმაციისთვის: ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალური ვებგვერდი*

[16] *ონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნული ასოციაცია.* ინფორმაცია მიღებულია 2024 წლის 12 ივლისს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://bestpractice.nala.ge/projects/160

[17] იქვე, გვ. 21

დაცვის პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტი განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. აღნიშნული სერვისი დაფინანსებულია ცენტრალური ბიუჯეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულებიდან და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან. [18]

მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულ ანგარიშებსა და გეგმებში მუდმივად არის ხაზგასმული ონის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი მრავალფეროვნება, მდიდარი წყლის და ტყის რესურსები და სხვადასხვა ტიპის ტურიზმის (გამაჯანსაღებელი, სათავგადასავლო, გასტრო) განვითარების შესაძლებლობა. გარემოზე ზრუნვისა და დასუფთავების მიმართულებით, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა გეგმავს ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, რომელიც გამოიხატება მოსახლეობისა და გარემოსაგან ნარჩენების სრული იზოლირებით, მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავებითა და ნარჩენების გატანით, ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოების წარმოებით. [19]

მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომლის მიხედვითაც ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ასაკის ადამიანების წილი 54.9%-ია. მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 46%-ია დაქირავებით დასაქმებული, ხოლო თვითდასაქმებულია - 36.4%. დაქირავებით დასაქმებულები ძირითადად საჯარო სტრუქტურებში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-გადამუშავებისა და ვაჭრობა-მომსახურების სფეროებში არიან დაკავებული. [20] მომსახურების სფეროში დაქირავებით დასაქმება სეზონურია ტურისტების მიღების და გამასპინძლების შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

ზემოთ აღნიშნული სტრატეგიული გეგმის თანახმად, ონი უნდა გახდეს რეგიონში აღიარებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და განვითარებული ტურიზმის ადგილი, სადაც ჩამოყალიბდება მიმზიდველი საინვესტიციო გარემო, განვითარდება ტურისტული შესაძლებლობები და შეიქმნება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო სერვისები. ამ მიზნის შესრულებისთვის მნიშვნელოვნად ადგილობრივი თანამშრომლობა და

---

[18] იქვე, გვ. 31

[19] იქვე, გვ. 19

[20] ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა 2020. ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალური ვებგვერდი. ინფორმაცია მიღებულია 2024 წლის 22 ივლისს; დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

ქსელური კავშირების განვითარებაა წარმოდგენილი, რადგან დღესდღეისობით ონის მუნიციპალიტეტში საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის სისტემური ხასიათის თანამშრომლობისა და კომუნიკაციის რაიმე კონკრეტული სტრუქტურული მექანიზმი ან პლატფორმა ჩამოყალიბებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესებს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები არსებობს (მაგალითად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები), ისინი ფრაგმენტულია და სპონტანურ ხასიათს ატარებს. ამიტომაც, ადგილობრივი თანამშრომლობის სისტემური განვითარება არამხოლოდ ერთობლივი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას მისცემს სექტორს, არამედ მნიშვნელოვნად აამაღლებს მოსახლეობის ჩართულობას მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული განვითარების მიმართულებით.[21]

ეკონომიკური განვითარების გეგმა სრულად ეთანხმება საქართველოს ტურიზმის ეროვნულ სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო და კერძოს სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ერთ-ერთი პირველ ამოცანად არის დასახული. აღნიშნული ურთიერთობების და თანამშრომლობის გაძლიერება ხელს შეუწყობს შემდგომში ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ადგილობრივი მემკვიდრეობის ძეგლების და სხვა კულტურული მნიშვნელობის ადგილების შენაჩუნებას და არსებული მომსახურების დახვეწას და გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდას შეუწყობს ხელს როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზარზე.[22] საქართველოს ტურიზმის სტრატეგია ამახვილებს ყურადღებას ტურიზმის განვითარებაში ჩართული აქტორების როლზე თითოეულის საქმიანობის უკეთ განსაზღვრისთვის საერთო მიზნის მისაღწევად. ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლს ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციის სისტემების განვითარება წარმოადგენს. მაშინ როცა ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია მიიღოს შესაბამისი განათლება და ცოდნა საკუთარი მომსახურების დასახვეწად და გასაუმჯობესებლად. სამივე რგოლი კი თავის მხრივ ჩართული იქნება რეგიონის პოპულარიზაციასა და ტურისტების მოზიდვაში.

ონის ტურისტული პოტენციალის განვითარების მიმართულებით საყურადღებოა ონის ტურიზმის კლასტერის კვლევა, რომლის მიხედვითაც საწარმოების უმეტესობა მცირე ზომისაა ან ადამიანები ინდივიდუალურ მეწარმეებად არიან დარეგისტრირებულები. სექტორის ბიზნესების

---

[21] ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა 2020. ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალური ვებგვერდი. გვ. 10; ინფორმაცია მიღებულია 2024 წლის 22 ივლისს; დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

[22] საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტრატეგია. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. ინფორმაცია მიღებულია 2024 წლის 14 ივლისს; დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტრატეგია 2025

მნიშვნელოვანი ნაწილი (36%) ქალაქ ონში მდებარეობს, ასევე დიდი რაოდენობაა უწერასა (20%) და გლოლაში (13%), თუმცა დანარჩენი ბიზნესები (31%) მუნიციპალიტეტის 11 სოფელშია განაწილებული. [23] ტურიზმის სექტორში არსებული საწარმოების ძირითადი საქმიანობა სწორედ რომ განთავსების საშუალებებით და კვების უზრუნველყყოფას უკავშირდება და სასტუმროების დიდი უმრავლესობა საოჯახო ტიპის სასტუმროებს წარმოადგენს. ტურისტულ სერვისებს შორის სალაშქრო და საცხენოსნო ტურების ორგანიზება და მოგზაურობის დაგეგმვის სერვისებიც შედის.

კვლევის შედეგად გამოკითხული მეწარმეები ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებად ადგილობრივი თუ საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის შემცირებას ასახელებდნენ, რაც რამდენიმე ფაქტორზე შეიძლება იყოს დამოკიდებული:

ეკონომიკური ფაქტორი: პროდუქტებზე და ნედლეულზე ფასის მომატება და შესაბამისად, ტურისტული მომსახურების გაძვირება აღნიშნულ ობიექტებს ნაკლებად მიმზიდველს ხდის ტურისტებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, რომ მომსახურება სეზონურია და 15 ივლისიდან 15 სექტემბრამდე გრძელდება. ეკონომიკურ ფაქტორები მოიცავს სექტორში დასაქმებას და შემოსავალს. კვლევის მიხედვით, განთავსების და კვების სერვისებში დასაქმებულთა შრომის დაბალი ანაზღაურება, რომელიც საშუალოდ 373 ლარს შეადგენს, რაც სექტორის საშუალო ხელფასის 33.1%-ია, გავლენას ახდენს ადამიანების სექტორში დარჩენასა და სოფლიდან გადინების მაჩვენებელზეც. **ცენტრალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა:** ტურისტულად მიმზიდველ ლოკაციებზე არ არსებობს ბუნებრივი აირი და ინტერნეტი, ხოლო სატელოფონო კავშირი შეფერხებულია. აღნიშნული თავის მხრივ გავლენას ახდენს როგორც მოსახლეობის კეთილდღეობასა და ცხოვრების ხარისხზე, ასევე ნაკლებ შესაძლებლობას ტოვებს ადგილობრივი მეწარმეებისთვის ტურისტების მიღებისა და გამასპინძლების მიმართულებით. კვლევაში ნათქვამია, რომ 2017-2020 წლებში რაჭა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და კვების მიწოდების საქმიანობები სექტორის ბრუნვის მხოლოდ 0.15-დან 0.4-მდე შეადგენდა, რაც რეგიონებს შორის ყევლაზე დაბალი მაჩვენებელია.

ინფრასტრუქტურული საკითხები: ერთი მხრივ, ბუნებრივი მოვლენებისა და კატასტროფებისგან დაზიანებული ინფრასტრუქტურა და გარემო და მეორეს მხრივ ფუნდამენტური ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხშირი გაჭიანურება ტურიზმის თუ სამეწარმეო სექტორში დასაქმებული ადამიანებისთვის წარმოადგენს დამატებით ბარიერს დაგეგმილი ტურისტული საქმიანობებისთვის.

გარემოსდაცვითი საკითხები: 2023 წლის შოვის ტრაგედია და მუნიციპალიტეტის არასტაბილური ეკონომიკური გარემო წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეული ტურისტებისთვის, საკუთარი დასვენების დანიშნულების ადგილად რაჭა აირჩიონ.

---

[23] ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმის სექტორის კლასტერის დიაგნოსტიკური კვლევა. PMC Research. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: ტურიზმის სექტორის დიაგნოსტიკური კვლევა

ამას ემატება როგორც საკვები ობიექტების და სასტუმროების ნაკლებობა, ასევე გასართობი სივრცეების სიმცირე, რომელიც კიდევ უფრო ამცირებს დამსვენებლების რიცხოვნობას. [24]

თემის განვითარების საქმიანობებში მოსახლეობის ჩართულობის მიმართულებით აღსანიშნავია კვლევითი კომპანია ACT-ის მიერ მომზადებული კვლევა „მოსახლეობის დამოკიდებულებები მუნიციპალური მუნიციპალური საქმიანობის და სერვისების მიმართ 2023“, რომელიც მიზნად ისახავდა მოქალაქეთა შეფასებებების შესწავლას მუნიციპალური სერვისებით კმაყოფილების მიმართულებით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე შემდგომი რეფორმების და სამომავლო აქტივობების უფრო ეფექტიანად დასაგეგმად და განსახორციელებლად. კვლევის ფარგლებში შესწავლილი მუნიციპალიტეტებიდან [25] მუნიციპალური, ასევე ცენტრალური სერვისები მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხელმისაწვდომია. მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა 67%-სთვისაა უზრუნველყოფილი და მათი როგორც ზოგადი კმაყოფილების მაჩვენებელი, ასევე ხარისხის პარამეტრებით მოქალაქეთა კმაყოფილება საშუალოზე მნიშვნელოვნად მაღალია. ონის მუნიციპალიტეტში **ცენტრალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა** საშუალოზე მაღალია (69%), თუმცა აღსანიშნავია სამი ყველა ნაკლებად ხელმისაწვდომი სერვისი: სარწყავი სისტემა (6%), საკომუნიკაციო სერვისები (42%), კანალიზაცია (51%) და ცენტრალური გაზმომარაგებას (59%). [26] კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობა იმის შესახებ, თუ რომელი სერვისია მუნიციპალური ან ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენცია, უფრო მაღალია მუნიციპალური სერვისების შემთხვევაში (86%). ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობას კარგად აქვს გაცნობიერებული, რა ტიპის სერვისები მიეკუთვნება ცენტრალურს და რა - მუნიციპალურს, თუმცა დამატებითი ინფორმირების საჭიროება ისევ არსებობს.

რაც შეეხება მუნიციპალურ სერვისებს, ხელმისაწვდომობა საშუალო და საშუალოზე დაბალია (56%) ონის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში და მოსახლეობისთვის პრიორიტეტული სერვისების სია შემდეგნაირად გამოიყურება: მათ შორის განათლება (45%), ჯანდაცვა (42%), სოციალური სერვისები (27%), ინფრასტრუქტურა (67%), ეკოლოგიასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სერვისები (59%); აქვე მნიშვნელოვანია, სერვისებით ზოგადი კმაყოფილების და ხარისხის პარამეტრებით კმაყოფილების შეფასებაც, რომელიც ონის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში 3.8 ქულით (5-დან) არის შეფასებული და სამიზნე მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელს წარმოადგენს.

---

[24] იქვე., გვ. 27-30

[25] კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტები გახლდათ ბათუმი, ჩოხატაური, ოზურგეთი, ქუთაისი, ტყიბული, ონი, ლენტეხი, ბოლნისი, რუსთავი, მარნეული, დმანისი

[26] ავტორის შენიშვნა: ცენტრალური გაზმომარაგების შედარებით მაჩვენებელი შესაძლოა განპირობებული იყოს ქალაქ ონის და ახლომდებარე დასახლებების გაზმომარაგებით, რადგან ჩვენ კვლევაში მონაწილე სოფლებში გაზიფიცირების პროცესი დასრულებული არაა.

საყურადღებოა, რომ მოსახლეობით ზოგადი კმაყოფილების მაჩვენებელი მაღალია განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და არაფორმალური განათლების და ჯანდაცვის მიმართულებით (4.3, 4.0, 4.0), მაშინ როცა ინფრასტრუქტურა გარემოს დაცვა და ეკოლოგია და ეკონომიკური გაძლიერება შედარებით დაბალი მაჩვენებლითაა შეფასებული (3.6, 3.6, 3.5). ხარისხის პარამეტრებით სერვისის კმაყოფილების შეფასებისას ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ განათლებას (4.0) ისევ მაღალი მაჩვენებელი აქვს ონში, ხოლო ინფრასტრუქტურას ყველაზე დაბალი (3.4). ამ მონაცემების გათვალისწინებით, არ არის მოულოდნელი, რომ სწორედ ინფრასტრუქტურას უკავშირდება ის საკითხები, რომელთა ბიუჯეტში პრიორიტეტიზებასაც ისურვებდა ყველაზე მეტი გამოკითხული ონის მუნიციპალიტეტში (86%). ეს ხედვა გაზიარებულია უმრავლესობის მიერ ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში. რაც შეეხება სხვა პრიორიტეტულ სფეროებს, ისინი ეკოლოგიასა და გარემოს დაცვას (53%) და ჯანდაცვას (43%) უკავშირდება. ყველაზე ხშირად დასახელებული საკითხების სიაშია სასმელი წყალი (45%), ჯანდაცვის სერვისების ხარისხისა გაზრდა (33%), ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა (25%) და შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (26%).

ინფორმირებულობა სერვისებთან დაკავშირებით საშუალოზე დაბალია (3-15%), რაც გამოიხატება არამხოლოდ მუნიციპალიტეტის მხრიდან მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან მოსახლეობის დროულად ინფორმირებით (0.52 ქულა მაქსიმალური 1-დან), არამედ მოსახლეობის ნაკლები მიმართვიანობით (საშუალო მაჩვენებელი - 26%) და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულობის ნაკლები ინტერესითაც (45%). აღნიშნული კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებშიც გამოიკვეთა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას ნაკლებად აქვს პირდაპირი კომუნიკაცია მოსახლეობასთან და, ძირითადად, კომუნიკაცია აქტიურდება წინასაარჩევნო პერიოდში, უშუალოდ მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებას კი არცთუ ხშირად აქვს ადგილი. [27]

საქართველოს დეცენტრალიზაციის რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესება და თვითმმართველობის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის ხარისხიანი და თანაბრად მისაწვდომი მომსახურების უზრუნველყოფა, იმ მოლოდინების და მოთხოვნების შესაბამისად, რაც ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნია. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალური კომპეტენციების სრულყოფილად

[27] მოსახლეობის დამოკიდებულებები მუნიციპალური მუნიციპალური საქმიანობის და სერვისების მიმართ 2023. ACT კვლევითი ცენტრი.

განხორციელების პრაქტიკის განვითარება და საჯარო სერვისების მიწოდების ოპტიმალური ფორმების შერჩევა და ხარისხის გაუმჯობესება.

საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ეტაპების ხარვეზებისა და არსებული პრობლემების კომპლექსური ანალიზით იკვეთება შემდეგი ძირითადი გამოწვევები:

ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებები: გატარებული რეფორმა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ საკანონმდებლო ცვლილებით გამოიხატებოდა, მეტნაკლებად ითვალისწინებდა პროცესის შემდგომ განვითარებას საშუალოვადიანი პერიოდისთვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დეცენტრალიზაციის სტრატეგია დაეფუძნოს საშუალოვადიან ხედვას, განისაზღვროს საშუალოვადიანი პერიოდისათვის განვითარების ძირითადი მიმართულებები და სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გაიწეროს ყოველწლიურად განსახორციელებელი ის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ დეცენტრალიზაციის პროცესის მდგრადობას, თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას.

საჯარო საკითხების გადაწყვეტა: ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში ადგილობრივი თვითმმართველობის ადგილისა და საჯარო საკითხების გადაწყვეტაში მისი როლის საკითხი. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა უზრუნველყოფდეს „საზოგადო საქმეების მნიშვნელოვანი წილის“ გადაწყვეტას.

დაფინანსების ნაკლებობა: თვითმმართველი ერთეულის მცირე ფინანსური და მატერიალური ბაზა არის ის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელს უშლის ადგილობრივი თვითმმართველობის რეალურ განხორციელებას. აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები ხშირ შემთხვევაში ვერ ხორციელდება სათანადო რესურსების ნაკლებობის გამო. შესაბამისად, დეცენტრალიზაციის რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიჩნეული გახლდათ თვითმმართველი ერთეულის არსებული და ეტაპობრივად გაზრდილი უფლებამოსილებების უზრუნველყოფა სათანადო რესურსებით.

გადაწყვეტილების მიღების ავტონომიურობის ნაკლებობა: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების აუცილებელი პირობაა გადაწყვეტილების მიღების ავტონომიურობა, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა, მათ საქმიანობაში მოქალაქეთა ფართო მონაწილეობა, საზოგადოებრივი კონტროლის, შეფასებისა და ანგარიშვალდებულების ქმედითი მექანიზმების დამკვიდრება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების

მოხელეთა მაღალი პროფესიონალიზმი, თვითმმართველი ერთეულების მართვის სისტემებისა და ადმინისტრაციული სტრუქტურების სრულყოფა, საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა, თვითმმართველი ერთეულის განვითარებისა და საქმიანობის დაფუძნება საშუალოვადიანი, თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებული სტრატეგიული დაგეგმვის სისტემაზე.

აღსანიშნავია ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი,[28] რომლის მიხედვითაც ონის მუნიციპალიტეტი 55%-ით არის წარმოდგენილი და მეხუთე საუკეთესო მაჩვენებელია ეროვნული მასშტაბით. განსაკუთრებით საგულისხმოა მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების მაჩვენებელი (38%), რომელიც გამჭვირვალობის (64%) და ელექტრონული მმართველობის (49%) მაჩვენებლებთან შედარებით საგრძნობლად დაბალია. აღსანიშნავია ისიც, რომ მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებელია 27%, რომელშიც მოიაზრება როგორც მოქალაქეების მხრიდან ინიციატივების წარდგენა და სხდომებში მონაწილეობა, ასევე მუნიციპალიტეტის მხრიდან მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოდა. ლოგიკურია, რომ მუნიციპალიტეტის ანგარიშვალდებულების ნაწილში 68%-ითაა წარმოდგენილი, რადგან მასში შედის მუნიციპალიტეტის მხრიდან მოსახლეობის ინფორმირება, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, რომ მუნიციპალიტეტის მუშაობს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე და ონლაინ სივრცეში არსებულ შესაძლებლობებს იყენებს მოსახლეობასთან დასაკავშირებლად თუმცა მოსახლეობის უმეტესობისთვის (განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებში) ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა დაბალია.

ეროვნული შეფასების დოკუმენტის მიხედვით დადებითი მაჩვენებლის განმსაზღვრელი შესაძლოა მუნიციპალიტეტში საერთაშორისო და ადგილობრივი დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობა იყოს. ამ მიმართულებით განსაკუთრებული დადებითი შედეგები და მკვეთრი ზრდა (32-35%) დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში. თუმცა საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციების მიმდინარე პროგრამების დასრულების შემდეგ, ინდექსში მუნიციპალიტეტების შედეგებმა მკვეთრად იკლო, რაც სამწუხარო ტენდენციაა.[29]

---

[28] ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი შედგება 3 თემატური ბლოკისგან: საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, ელექტრონული მმართველობა და მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება.

[29] ადგილობრივი თვითმმართველობების ინდექსი: საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება 2023. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი; ინფორმაცია მიღებულია 2024 წლის 22 ივლისს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი 2023

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ გეოგრაფიულ (მაღალმთიანობა) და დემოგრაფიულ (ეთნიკური უმცირესობები) ფაქტორებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხზე. აღნიშნული მახასიათებლების მქონე მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი ჩამორჩება სხვა მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელს. [30]

მუნიციპალიტეტებს კვლავ ყველაზე მაღალი შედეგები გააჩნიათ მუნიციპალიტეტების შესახებ ზოგადი ინფორმაციის გამოქვეყნების ქვებლოკში: საკონტაქტო ინფორმაცია (71%), მუნიციპალიტეტის სტრატეგიები და მათი სამოქმედო გეგმები (67%), ორგანიზაციული სტრუქტურის და ფუნქციების აღწერა (66%), ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების და საკრებულოს წევრების შესახებ (63%). რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი გახლდათ ის რეგიონი, სადაც მუნიციპალიტეტების პროაქტიული გამოქვეყნების საერთო მაჩვენებელი წინა შედეგებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (18%-იანი მატება).

დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგის ერთ-ერთ ამოცანად გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის მიღწევა განისაზღვრა, რომლის შესრულების ინდიკატორად 2025 წლისთვის LSG ინდექსის მაჩვენებლის არანაკლებ 55%-მდე გაზრდა წარმოადგენს. აღნიშნული მიზნით ცენტრალურმა ხელისუფლებამ საჭიროა გადადგას აქტიური ნაბიჯები და განახორციელოს ღონისძიებები, მათ შორის, საჭიროებებისას საკანონმდებლო ცვლილებები მუნიციპალიტეტებში ანგარიშვალდებულების გაზრდის უკეთესი პირობების შესაქმნელად. [31]

სამაგიდე კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საჭიროებს ყურადღების მიქცევას:

სამოქალაქო საზოგადოებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და ბიზნეს სექტორს შორის **არაეფექტური კომუნიკაცია** განაპირობებს თანამშრომლობის ნაკლებობას და ხშირ შემთხვევაში არ არსებობას ერთმანეთის მიმართ უნდობლობიდან გამომდინარე.

ტურიზმის განვითარების მიმართულებით არსებული **ინფრასტრუქტურა** ხელს უშლის ადამიანებს დაგეგმონ ტურისტული საქმიანობები ისედაც შეზღუდული პერიოდის განმავლობაში ამ საქმიანობის სეზონურობიდან გამომდინარე.

---

[30] იქვე, გვ. 10

[31] *იქვე, გვ. 43*

მოსახლეობის დამოკიდებულება თემის განვითარების აქტივობებში ჩართულობასთან დაკავშირებით **მუნიციპალიტეტთან ნაკლები კომუნიკაციით** აიხსნება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ მოლოდინი, რომ ადამიანები აქტიურად დაესწრებიან საკრებულოს სხდომებსა და გამოიყენებენ მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს მაშინ როცა, მათ შესახებ ინფორმაცია პროაქტიულად ინტერნეტის საშუალებით ქვეყნდება და ვერ ფარავს სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს.

დეცენტრალიზაციის მიმართულებით არსებული გამოწვევები, მათ შორის ფინანსების ნაკლებობა ბარიერს ქმნის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა იმოქმედონ თავიანთი თემის საჭიროებიდან გამომდინარე და განკარგონ ფინანსური რესურსებიც შესაბამისად.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შემუშავდა კითხვარი შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: დემოგრაფიული მონაცემები (ასაკი, სქესი, განათლების დონე, დასაქმების სტატუსი, ეკონომიკური მდგომარეობა), თემის განვითარებაში ჩართულობა (მუნიციპალური და სერვისები, თემის განვითარების საქმიანობები, ჩართულობის ხარისხი და სურვილი, ჩართულობის საჭიროებები) და თემის ტურისტული განვითარების პოტენციალი (ტურიზმის განვითარების ხელისშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები, ტურიზმში ჩართულობით დაინტერესება, ტურისტულ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობები და საჭიროებები, საგანმანათლებლო საჭიროებები).

კვლევის ფარგლებში შემუშავებული კითხვარი გავრცელდა ორი ფორმით: ონლაინ და ფიზიკურად. ონლაინ კითხვარი გავრცელდა სოციალურ ქსელებში, აქტიურ ჯგუფებში და პირადად გაეგზავნათ ადგილობრივ მეწარმეებსა და სათემო ლიდერებს. ონლაინ კითხვარი შეავსო 25-მა ადამიანმა. ფიზიკურად გავრცელებული კითხვარი ს მეშვეობით გამოიკითხა ონის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობა (50 ადამიანი). საბოლოოდ, კითხვარის შედეგად მიღებული პასუხები შეადგენს 75 ადამიანს, პროცენტულობაც დათვლილია გამოკითხულთა რაოდენობიდან და არ არის განზოგადებადი.

აღნიშნული ქვეთავში წარმოდგენილი შედეგები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: ა) კონტექსტი და რესპონდენტთა დემოგრაფიული მონაცემები, ბ) მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა გ) თემის განვითარებაში ჩართულობა, დ) ტურისტული პოტენციალის შეფასება და ე) გამოკითხულთა შესაძლებლობების ანალიზი.

დემოგრაფიული მონაცემები

გამოკითხული 75 რესპონდენტიდან 67% არის ქალი (50 რესპონდენტი), ხოლო 33% (25 რესპონდენტი) - კაცი. რაც შეეხება ასაკობრივ განაწილებას, >18 ასაკობრივი ჯგუფის





წარმომადგენელი არის 4% (3 რესპონდენტი), 18-29 ასაკის ახალგაზრდები 9%-ს (7 რესპონდენტი) შეადგენენ, 30-44 წლის ასაკობრივი კატეგორია წარმოდგენილია 27%-ით (20 რესპონდენტი), 45-65 წლის ასაკობრივი ჯგუფი - 39% (29 რესპონდენტი) და 65+ ასაკობრივი კატეგორია - 21% (16 რესპონდენტი).

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რესპონდენტები შემდეგნაირად განაწილდნენ: ყველაზე მეტი რესპონდენტი დაფიქსირდა ქალაქ ონში (17 რესპონდენტი - 23%), ნაკიეთში - 11 რესპონდენტი - 16%), ღარში (11 რესპონდენტი - 16%) და უწერაში (10 რესპონდენტი - 13%). 5-5 რესპონდენტმა შეავსო ჯინჭვისსა და ნიგავზებში (6-6%), 4-მა რესპონდენტმა გლოლაში (5%) და დანარჩენი სოფლები (მრავალძალი, ბარი, სომიწო, წოლა, ჭიორა, ღები, შქმერი, გომი, წმენდაური, ლაგვანთა) წარმოდგენილი იყო 1-1 პასუხით (1%).

რესპონდენტთა განათლების შესახებ საუბრისას, საყურადღებოა ორი ფაქტორი: პირველი დაკავშირებულია რესპონდენტთა განათლების დონესთან, ხოლო მეორე განათლების ხარისხისადმი მათ დამოკიდებულებასთან. რესპონდენტთა უმრავლესობას (32% - 24 რესპონდენტი) პროფესიული/ტექნიკური განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან სერტიფიკატი აქვს, ხოლო 27%-ს საშუალო სკოლის ატესტატი აქვს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათ სწავლა სკოლის დასრულების შემდეგ არ გაუგრძელებიათ. აღნიშნული ინფორმაციის განხილვა საინტერესოა გენდერული ნიშნითაც. ქალების უმრავლესობამ (38%) სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა უმაღლეს სასწავლებელში და აქვს ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი, მაშინ როცა გამოკითხული კაცების მხოლოდ 27%-ს აქვს ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი. მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არის პროფესიული განათლების დიპლომი, რომლის შემთხვევაში გამოკითხული ქალების მხოლოდ 27%-ს აქვს მიღებული დიპლომი, ხოლო კაცების 45%-ზე მეტი პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულია. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა არ გაუგრძელებია გამოკითხული ქალების 35%-ს და კაცების 13%-ს. აღნიშნული მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ქალები სკოლის შემდეგ სწავლას აგრძელებენ, ძირითადად უმაღლეს სასწავლებლებში მიდიან, ხოლო კაცები, რომელთა უმეტესობა სწავლას აგრძელებს ან პროფესიულ კოლეჯში მიდის ან უმაღლეს სასწავლებელში.

რესპონდენტების ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებას, რომელიც გამოკითხული რესპონდენტების 28%-ს (21 რესპონდენტი) შეადგენს, განაპირობებს მათი განათლება, განსაკუთრებით ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი. მაშინ როცა საოჯახო ბიზნესში დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის (ერთობლივად 28% - 21 რესპონდენტი) საშუალო სკოლის დასრულება და პროფესიულ კოლეჯში სწავლაც საკმარისია. რაც შეეხება დაუსაქმებლობას, ამას ქალების და კაცები შემთხვევაში განათლება ნაკლებად განსაზღვრავს. თუმცა კითხვაზე „თქვენი აზრით, რა ფაქტორები განაპირობებს დასაქმებას რეგიონში?“ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს

კონტაქტებსა და კავშირებს (39%), შემდეგ გამოცდილებას და უნარებს (39%) და ბოლოს პროფესიულ ცოდნას და განათლებას (36%). საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ თვითდასაქმებული ან საოჯახო ბიზნესით დაკავებული ადამიანების უმრავლესობა (50%) დასაქმების გამოწვევად გეოგრაფიულ მდებარეობას და მოცემულ არეალზე კარგად ანაზღაურებადი სამსახურის სიმცირეს ასახელებს. დასაქმების ხელისშემშლელ ფაქტორებში აღნიშნულია სატრანსპორტო საშუალებების სიმცირე, ადამიანური რესურსის ნაკლებობა და დაბალი ანაზღაურება.

მუნიციპალური სერვისები

თემში განვითარებაში ჩართულობის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს თემში არსებული სერვისების განვითარება წარმოადგენდა. რესპონდენტებს უნდა მოენიშნათ მაქს. 3 პრიორიტეტული სერვისი/პროგრამა რომელიც კარგად მუშაობს მათ მუნიციპალიტეტში და მინ. 3 პრიორიტეტული სერვისი, რომლის გაუმჯობესებაც თავის თემში ისურვებდნენ. გამოკითხული რესპონდენტების მოსაზრებით, ონის მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტად განვითარებულია სპორტული სივრცეები (55%), კომუნალური სერვისები (წყალი და ელექტროენერგია) (36%) და საგანმანათლებლო სივრცეები (33%), მაშინ როცა განვითარებას/გაუმჯობესებას საჭიროებს: ჯანდაცვის სერვისები (63%), ბუნებრივი აირი (63%), ინტერნეტი (58%). აღნიშნულ კითხვაზე პასუხის დროს რესპონდენტები მუდმივად უსვამდნენ ხაზს ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის საკითხს მათ კონკრეტულ სოფელში უბნის ექიმების რაოდენობის სიმწირის ან ამბულატორიის არარსებობის გამო. ასევე მნიშვნელოვანი იყო იმის აღნიშვნაც, რომ ძირითადი და გადაუდებელი მომსახურების შემთხვევაში ქ. ონის ცენტრალურ საავადმყოფოში მიდიან ადამიანები, თუმცა აქ გამოწვევას წარმოადგენს შიდა რეგულარული ტრანსპორტის სიმცირე[32] და საავადმყოფოს პერსონალის სიმცირე, რის გამოც ხშირად უწევთ რიგში დგომა ან თბილისისა თუ ქუთაისის საავადმყოფოებში გადამისამართება.

[32] ავტორის შენიშვნა: რესპონდენტების თქმით მხოლოდ კვირაში ერთხელ დადის საზოგადოებრივი ტრანსპორტი მათ სოფელში.

ბუნებრივ აირზე ხელმისაწვდომობის არარსებობა გამოწვევას წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი რესპონდენტების (86%) შემთხვევაში, რომლებიც თავად ფლობენ სასტუმროს ან დასაქმებულები არიან საოჯახო ბიზნესში და მათი შემოსავლის მთავარ წყაროს სტუმრების განთავსება და კვებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. გამოკითხული რესპონდენტებისთვის ბუნებრივი აირის არარსებობა ქმნის ბარიერს, რომ ტურისტები მიიღონ ზამთარშიც, როდესაც სამთო ტურიზმით დაკავებული ადამიანები ზემო რაჭის სანახავად ჩამოდიან. გამომდინარე აქედან, ტურისტების დიდი ნაწილი ქალაქ ონის სასტუმროებსა და საოჯახო ტიპის სასტუმროებში რჩება, რადგან სხვა დაწესებულებებს სტუმრის მიღების ელემენტარული პირობები არ გააჩნიათ.





გარდა აუცილებელი საჭიროებისა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფისა, აღნიშნული მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება ადამიანებს იმისთვის სჭირდებათ, რომ სოფელში მეტი ახალგაზრდა დარჩეს/დაბრუნდეს, ადამიანებს განცდა ჰქონდეთ, რომ მათ სოფელში/მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვან საქმიანობაში ჩართულობის შესაძლებლობა აქვთ და თემი განვითარდეს ტურისტულად და ეკონომიკურად.

თემის განვითარებაში ჩართულობის ნაწილში პრიორიტეტულ აქტივობებად გამოკითხული რესპოდენტები სათემო საჭიროებებისთვის ფონდების მოძიებას / ქველმოქმედებას (53%), სათემო შეხვედრებს (48%) და თემის მობილიზებას (43%) ასახელებდნენ. თუმცა ჩართულობის შეფასების ნაწილში საკმაოდ სავალალო მდგომარეობა დაფიქსირდა, რადგან გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა 59% საერთოდ ან ნაკლებად არის თემის განვითარების აქტივობებში ჩართული ინფორმაციის არქონის, დროის უქონლობის, ნაკლები ინტერესის ან ასაკის გამო. ინტერესის ნაწილში საინტერესო იყო რამდენიმე რესპონდენტის მოსაზრება, რომ მათთვის თემის განვითარების აქტივობებში ჩართულობას აზრი არ აქვს და ნაკლები შედეგის მომტანია. იგივე დამოკიდებულება დაფიქსირდა მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების აქტივობებში ჩართულობის მიმართულებით და გამოჩნდა, რომ რესპონდენტები ძირითადად დასახლების საერთო კრებებზე დასწრებით (60%), განცხადებით მიმართვითა (28%) და პეტიციის შედგენა ან ხელი მოწერით (21%) შემოიფარგლებიან და ნაკლებად ან თითქმის არასდროს ყოფილან მუნიციპალური პროგრამების შემუშავების ან გაუმჯობესების პროცესში ჩართული. აღნიშნული მიუთითებს იმაზეც, რომ ადამიანებისთვის აღნიშნული მონაწილეობის ფორმები შედარებით უფრო შედეგის მომტანია და დასახლების საერთო კრებებზე დასწრებითა და მასში მონაწილეობით მეტი სარგებელი მიუღიათ თემისთვის, ვიდრე განცხადებებით მიმართვისა და პეტიციაზე ხელის მოწერის შემთხვევაში. ჩართულობის ბარიერებად გარდა დროის და ინტერესის არქონია, ინფორმაციის არქონა (52%) და შიდა რეგულარული სატრანსპორტო საშუალებების სიმცირეც (28%) სახელდება, რაც თავის მხრივ ხელს უშლით გამოკითხულ რესპონდენტებს დაესწრონ საკრებულოს სხდომებს, საგანმანათლებლო ვორკშოპებსა და სხვა ტიპის აქტივობებსაც.

თუ კარგად დავაკვირდებით ზემოთ მოცემულ სტატისტიკას, ადგილობრივი თემის მონაწილეობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში მერი არშტაინის მონაწილეობის პირველსა და მეხუთე საფეხურებს შორის მერყეობს. ადამიანებს ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ ეკითხებიან აზრს და არ უსმენენ მათ საჭიროებებს, ან მოსმენის შემთხვევაში, არ ითვალისწინებენ და გადაწყვეტილებებს ისევ ძალაუფლებს მქონე ადამიანები თავიანთ ინტერესებზე დაფუძნებით იღებენ.

ტურისტული პოტენციალის ანალიზისას, ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული აქტივობების სიაში ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს სათავგადასავლო (57%), ეკოტურიზმი (51%) და გამაჯანსაღებელი (50%) ტურიზმი იკავებს. გამოკითხული რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ გასტრო ტურიზმიც, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რაჭის კულინარიულ მრავალფეროვნებას. ტურიზმის განვითარებისთვის ხელისშემწყობი ფაქტორებად გამოკითხულმა რესპონდენტებმა საგზაო ინფრასტრუქტურა (72%), კვების ობიექტები (72%), სასტუმროები (69%) და ინტერნეტი (60%) თითქმის თანაბრად დაასახელეს.

ტურიზმის განვითარების ბარიერებად რესპონდენტების უმრავლესობამ სოფლებში ბუნებრივი



აირის არარსებობა (55%) დაასახელა და აღნიშნა, რომ პირველ რიგში, ეს ხელს უშლის ტურისტული საქმიანობების დაგეგმვას და მეორე მხრივ, ხელს უწყობს ადამიანების გადინებას, რადგან ტურიზმის სეზონურობიდან გამომდინარე მაცხოვრებლები თბილისში მიდიან დროებითი სამუშაოს საძიებლად და ზაფხულის დადგომისთანავე ბრუნდებიან რაჭაში. მეორე ხელისშემშლელი ფაქტორი ბუნებრივი მოვლენები და კატასტროფები (50%), რომელიც პირველ რიგში საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს, მათ საკუთრებას და მიუხედავად სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და დაგეგმარების შეფასებისა, პროგნოზირებადი არ არის და წინასწარი პრევენცია ვერ ხდება. შოვის ტრაგედიის შემდეგ ადამიანების, მათ შორის ქართველი ტურისტების და დამსვენებლების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. შემდეგი ხელისშემშლელი ფაქტორი არის შიდა რეგულარული ტრანსპორტის სიმცირე (48%), რომელიც არამარტო ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილებას უშლის ხელს, არამედ ტურისტის ადგილზე მოსვლასაც. ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პროდუქტებისა და ნედლეულის მომარაგებისთვის ადამიანებს ძირითადად ონის ბაზარში უწევთ წასვლა და ტრანსპორტის რეგულარობის ნაკლებობიდან გამომდინარე სწრაფად უწევთ სხვა საქმეების მოგვარებაც. რაც შეეხება მუშახელის გადინებას (39%), ზემოთ აღნიშნული ბარიერები და

გამოწვევები ადამიანებისთვის იმედგაცრუების საბაბია და რადგან დიდ ქალაქებსა და დედაქალაქში დასაქმების მეტ შესაძლებლობას პოულობენ, ურჩევნიათ რომ იქ დარჩნენ. ეს თავის მხრივ, ზრდის როგორც შიდა ასევე გარე მიგრაციას და ადამიანების გადაწყვეტილებას, იზრუნონ თავიანთი თემის განვითარებასა და შესაძლებლობების შექმნაზე, საბაზისო ეკონომიკური პირობების შექმნა დედაქალაქში ან ქვეყნიდან წასვლით წონის.

დასაქმების შესაძლებლობების სიმცირიდან გამომდინარე ადამიანების უმრავლესობა ჩართულია ტურისტულ და სამეწარმეო საქმიანობაში და ისევ ამ მიმართულებით ისურვებდა საქმიანობის გაგრძელებას. გამოკითხულთა 55%-ისთვის მნიშვნელოვანია ტურიზმში ან სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობა, თუმცა საჭიროებს ფინანსურ და საინფორმაციო მხარდაჭერას ბიზნესის განვითარებისათვის.



რაოდენობრივი კითხვარის ბოლო ნაწილი შესაძლებლობების ანალიზს ეხებოდა, სადაც გამოჩნდა, რომ ადამიანებს უფრო მეტად **განთავსებასთან დაკავშირებული აქტივობებში** ჩართულობის შემოთავაზება შეუძლიათ: გამოკითხულთა 16%-ს, რომელიც დაინტერესებული მსგავს აქტივობებში ჩართულობით უკვე აქვს ან აპირებს საოჯახო ტიპის სასტუმროს ქონას, მათ შორის კვებისა და დამატებითი აქტივობების შეთავაზებით. გამოკითხულთა 23% **გასტრო ტურიზმთან დაკავშირებული აქტივობებში** ჩართულობას ისურვებდა და ამჟამინდელი საქმიანობიდან გამომდინარე შეუძლია რძის პროდუქტების, სამკურნალო მცენარეების, ადგილობრივი პროდუქტების, ნატურალური პროდუქტების და რაჭული სამზარეულოს გაცნობაში ჩართულობა, რათა საკუთარი სოფლის მიღმაც შეძლოს თაფლის, სამკურნალო მცენარეების, ხილის და ბოსტნეულის, ლორის, მარცვლეული კულტურის თუ სხვა ტიპის პროდუქტების როგორც

ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ტურისტებისთვის შეთავაზება. გამოკითხულთა მცირე ნაწილი (7%) ჩართულია ან ისურვებდა ჩართვას **ტრანსპორტით მომსახურების საქმიანობებში,** მათ შორის მაღალი გამავლობის მანქანით, ცხენით. ასევე მცირე რაოდენობა (8%) დაინტერესებულია რაჭის **კულტურის გაცნობითა და გამოცდილების გაზიარება,** რომელშიც მოიზარება გიდის მომსახურება, სოფლის ისტორიის გაზიარება, ღირშესანიშნაობების ისტორიის გაზიარება და ა.შ.

აღნიშნულმა რაოდენობრივმა კვლევამ გამოკვეთა, რომ ადამიანებს აქვთ საკუთარი რესურსის გაზიარების სურვილი და ტურისტული თუ სამეწარმეო მიმართულებით დაგეგმილ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვის მზაობა. ამასთანავე, სურთ მეტი იცოდნენ გარემოსდაცვითი, სათემო ტურიზმის, ბიზნესის მართვისა და დასაქმების კომპეტენციების კუთხით, რომელსაც ადგილზე შესაძლებლობების შექმნასა და ეკონომიკური განვითარებისთვის გამოიყენებენ. გამოკითხული რესპონდენტებისთვის თემის განვითარების აქტივობებში ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორები ძირითადად მათი საქმიანობის არაღიარების და არდაფასების შეგრძნებაა და ამიტომაც სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ როგორც მუნიციპალიტეტის მხრიდან, ასევე სამოქალაქო საზოგაოდების მხრიდან მიღებული დახმარების მიმართ. რესპონდენტების დიდ ნაწილს აქვს შეგრძნება, რომ მიტოვებულია და მასზე არავინ ზრუნავს, რადგან აუცილებელი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობის მიღმაც მათ ამჟამინდელ საქმიანობაში მცირე შემოსავალი აქვთ და საჭიროების შემთხვევაში რეგიონიდან ან ქვეყნიდან წასვლას სწორედ ეკონომიკური გაძლიერების მიზეზით გეგმავენ.

ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში, მოსახლეობას კარგად ესმოდეს რა ტიპის საქმიანობები არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობა და როგორ შეიძლება მოითხოვონ მათი საჭიროებების დაკმაყოფილება და მეორეს მხრივ, ესმოდეთ მათი აქტიურობის, სათემო საქმიანობებში ჩართულობისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის მნიშვნელობა და საჭიროება. თუ ადამიანებს განცდა ექნებათ, რომ მათი საქმიანობა დაფასებული, აღიარებული და როგორც პირადად მათთვის, ასევე თემისთვის სარგებლის მომტანია, ბევრად უფრო მეტს გააკეთებენ თავიანთი სოფლისთვის, თემისთვის და საზოგადოებისთვის.

თვისებრივი კვლევის შედეგები

აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილია ორი ფოკუს ჯგუფ დისკუსიის შედეგები, რომელიც ჩატარდა სათემო ლიდერებთან და ადგილობრივ მეწარმეებთან. ფოკუსჯგუფ დისკუსიის ინსტრუმენტი გახლდათ ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა, რომელიც სათემო ლიდერების შემთხვევაში მოიცავდა სამ კომპონენტს: თემის განვითარების აქტივობებში მოსახლეობის ჩართულობის არსებული მდგომარეობა, თემში არსებულ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან (ადგილობრივი თვითმმართველობა, ბიზნესი, საინიციატივო ჯგუფები, სათემო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები) თანამშრომლობა და სათემო ლიდერების ხედვა თემის განვითარების აქტივობებში მოსახლეობის უკეთ ჩართვისთვის.

ადგილობრივი მეწარმეების სადისკუსიო გეგმა მოიცავდა ოთხ კომპონენტს: სათემო ტურიზმი, როგორც საქმიანობა, სათემო ტურიზმის განვითარება (არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები), თანამშრომლობა თემში არსებულ დაინტერესებულ მხარეებთან და თემის განვითარების მიმართულებით ადგილობრივი მეწარმეების ხედვა. ქვეთავში მოცემული შედეგები გაანალიზებულია ზემოთ მოცემული კომპონენტების მიხედვით თითოეული თემატური მიმართულებისთვის.

მოსახლეობის თემის განვითარების აქტივობებში ჩართულობის დაბალი მაჩვენებლის გამომწვევ მიზეზებად სათემო ლიდერებმა დაასახელეს მონაწილეობის ფორმებზე ინფორმაციისა და ცოდნის ნაკლებობა, პრობლემებსა და გამოწვევებზე ღიად საუბრის მიმართ სიფრთხილე, რადგან შესაძლოა მათი კრიტიკული აზრი ფართოდ არ იყოს მოწონებული და შემდგომში ვინმემ აითვალწუნოს როგორც მათი საქმიანობა, ასევე შეუზღუდოს დამატებითი მონაწილეობის შესაძლებლობები. ეს კი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ ადგილობრივ მოსახლეობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის კავშირი ან ძალიან სუსტია ან მთლიანად გაწყვეტილია. ამას მოწმობს ისიც, რომ თვითმმართველობა მოქალაქეების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის კუთხით ნაკლებად პროაქტიულია და აქედან გამომდინარე, საზოგადოებას უჩნდება შეგრძნება, რომ მის მონაწილეობას აზრი აქვს, რადგან მის აზრს არ გაითვალისწინებენ.

> „საველე სამუშაოებში ჩართულობის დროს ზემო რაჭის ერთ-ერთი სოფლის მაცხოვრებელთან გვქონდა გამოკითხვა, რომელმაც მითხრა, რომ მის სოფელში 7 ოჯახი ცხოვრობს, ამიტომ მას არ აქვს მოლოდინი, რომ 7 ოჯახისთვის შესაძლოა მუნიციპალიტეტმა ან სხვა ინსტიტუციებმა რამე გააკეთონ. ეს ძალიან სევდიანია, როდესაც ადამიანს ჰგონია, რომ სოფლის სიდიდე უნდა განსაზღვრავდეს სერვისების მიწოდების ხარისხსაც“
>
> ქალი, სათემო ლიდერი, მასწავლებელი, 37 წლის

დადებითი ტენდენცია ჩანს დასახლების საერთო კრებებზე ჩართულობის გაზრდის მიმართულებითაც. თუ მანამდე 5 ან 6 ადამიანი ესწრებოდა კრებას, ახლა მათი რიცხვი საკმაოდ გაზრდილია, თუმცა მამაკაცების აქტიურობის ხარჯზე, რადგან ახალგაზრდები და ქალები ნაკლებად აქტიურობენ. რაოდენობრივი კვლევის მონაცემებით, გამოკითხული კაცების 56% დასახლების საერთო კრებას თითქმის ყოველთვის ესწრება, მაშინ როცა ქალების 54%-იდან მხოლოდ 40%-მა დაასახელა, რომ დასახლების საერთო კრებებზე თავად დაესწრო და მისი მეუღლე ან სხვა ოჯახის წევრი არ გაუშვია. დასახლების საერთო კრებებზე დასწრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივაციას წარმოადგენს სოფლისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული საკითხების გადაწყვეტა, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ კრების შედეგად დასახელებული პროექტების მონიტორინგი ნაკლებად მიმდინარეობს და შესაძლოა დროში გაიწელოს. მოსახლეობას პროექტების დაწყებისა თუ დაფინანსების შესახებ ინფორმაცია არ აქვს, თუმცა სათემო ლიდერებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან ძირითადად ფინანსების სიმწირესთან დაკავშირებით მიუღიათ უკუკავშირი.

სათემო ლიდერებმა ასევე აღნიშნეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ კრებებსა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისთვის თავად უფრო მეტად პოულობენ გზას და იძიებენ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროების მეშვეობით. მუნიციპალიტეტისგან შესაძლებელია ნაკლებად მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა საშუალებებით ელექტრონული პლატფორმის გარდა, რომლის შესახებაც ინფორმაცია შესაძლოა ბევრს არ ჰქონდეს და ნაკლებად ხელმისაწვდომია ინტერნეტკავშირის შეფერხების პირობებშიც.

სათემო განვითარების მიმართულებით ჩართულობის კუთხით აღინიშნა დონორების დაბალი ინტერესი და სტრატეგია კონკრეტულ თემში შემოსვლასთან დაკავშირებით. როგორც სათემო ლიდერები აღნიშნავენ, დონორები ძირითადად კომუნიკაციას იწყებენ არა აქტიურ ლიდერებთან, არამედ თვითმმართველობასთან და მისგან იღებენ იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე ინფორმაციას, რომელიც შეიძლება ყოველთვის თანაბრად რელევანტური არ იყოს თემის მოსახლეობისთვის და მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ბოლო საკითხი, რომელსაც თემის ლიდერები შეეხნენ დაკავშირებულია ადგილობრივ აქტორებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობასთან / არარსებობასთან, რაც თავის მხრივ ხელს უშლის მუნიციპალიტეტის განვითარების საქმიანობებში ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანები უფრო მეტად იყვნენ ჩართული. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ხედვა, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ხშირად უსვამს ხაზს დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაციის და ერთობლივი ქმედებების ნაკლებობას, ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით არ იდგმება.

აქედან გამომდინარე, სათემო ლიდერების ხედვა ეფუძნება ისეთ აქტივობებს, რომელიც თემში შექმნის ინფორმაციაზე, სერვისებსა თუ რესურსებზე წვდომის თანაბარ შესაძლებლობას და საფუძველს დაუდებს თანამშრომლობას სხვადასხვა აქტორებს შორის თემისადმი მიკუთვნებულობისა და საქმიანობების მიმართ ნდობის გაზრდის კუთხით. სათემო ლიდერებს მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია:

- სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება აქტიურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართული თემის და საზოგადოების მნიშვნელობაზე
- ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და გააქტიურება საკუთარი თემის მნიშვნელოვან საკითხებში მონაწილეობისთვის
- აქტიური მოქალაქეების / სათემო ლიდერების ჩართულობა დასახლების საერთო კრების მომზადების პროცესში საჭიროებების და პრიორიტეტების უკეთ დასალაგებლად
- პროაქტიული კომუნიკაციის და თანამშრომლობის წახალისება ადგილობრივ თვითმმართველობასთან, დონორ ორგანიზაციებთან, სათემო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და ბიზნესთან

ტურიზმის განვითარების გამოწვევებზე საუბრისას ადგილობრივმა მეწარმეებმა აღნიშნეს, რომ განთავსების საშუალებების თუ სხვა ტიპის ტურისტული სერვისის შესახებ კომუნიკაცია ძირითადად სოციალური ქსელის (Facebook, Instagram) საშუალებით ხდება და სერვისის დაჯავშნის კონკრეტული პლატფორმა არ არსებობს, რაც განაპირობებს იმას, რომ ადგილობრივი ტურისტები შიდა კომუნიკაციით და სანაცნობო წრის მეშვოებით იგებენ ამა თუ იმ განთავსების საშუალებაზე ინფორმაციას და ამ ტურისტულ ობიექტებს შორის ჯანსაღი კონკურენცია არ არსებობს. რამდენიმე საოჯახო ტიპის სასტუმროს აქვს Booking.com და Airbnb სერვისები, თუმცა ენის ბარიერის გამო თითქმის არ ამყარებს კომუნიკაციას ტურისტთან, რის გამოც მისი კონკრეტული სასტუმროს პასუხის გაცემის მაჩვენებელი დაბალია და Booking.com-ის რეიტინგშიც ნაკლები ქულა ენიჭება.

განთავსების სივრცეების რაოდენობა ზრდა და ტურისტების არასაკმარისი რაოდენობა დამატებით შეიძლება განიხილებოდეს ჯანსაღი კონკურენციის ხელისშემშლელ პროცესად გვევლინება. ამას ემატება ისიც, რომ ადგილობრივი მეწარმეები ერთმანეთთან ნაკლებად ან თითქმის არ თანამშრომლობენ და მიუხედავად მუნიციპალიტეტის სიდიდისა, არ იციან მათ სოფელში არსებული სხვადასხვა საწარმოების და პროდუქციის გაყიდვის შესაძლებლობების თაობაზე. ამის გამომწვევ მიზეზად სახელდება ისიც, რომ თავად მეწარმეები არ არიან აქტიურად ჩართული პროდუქციის პოპულარიზაციის პროცესში, რაც შეიძლება მათი ინფორმირების და ამ მიმართულებით ცოდნის დაბალ დონეს მიეწეროს. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში არსებობდეს მდგრადი ფინანსური თუ საგანმანათლებლო მხარდაჭერა, რათა მეწარმეები გაეცნონ

ინოვაციური ტექნიკებს, უფრო მეტი იცოდნენ ერთმანეთის პროდუქციისა და სერვისის შესახებ და სექტორის განვითარებაშიც შეიტანონ წვლილი.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ისიც, რომ რეგიონს/მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ტურისტული ნიშა, რომლითაც შეძლებდა მეტი ტურისტის მოზიდვას. ამაში იგულისხმება არამხოლოდ მრავალფეროვანი ტურისტული სერვისების შეთავაზების სიმცირე, არამედ ფართომასშტაბიანი გამოფენებისა თუ ფესტივალების ნაკლებობა. ამასთანავე, ნაკლები ყურადღება ექცევა გასტრო ტურიზმის პოპულარიზაციას და როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტი ძირითადად მაშინ იგებს ამა თუ იმ ტრადიციული კერძის შესახებ, როდესაც ადგილზე ჩამოდის.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ინსფრასტრუქტურული პრობლემები, რომელიც ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას და კონკრეტული მიმართულების აქტიურ მუშაობას. ამ პრობლემების ნუსხაშია საგზაო ინფრასტრუქტურა, კომუნალურ სერვისები, კომუნიკაციის შეფერხება და ინტერნტის არ ქონა და სალაშქრო გზების მარკირება. აღნიშნული საკითხი დადასტურდა, როგორც სამაგიდე კვლევის, ასევე რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში და ნამდვილად წარმოადგენს როგორც შემაფერხებელ, ასევე მოტივაციის დამგდებ ფაქტორსაც.

ადგილობრივი მეწარმეების მოსაზრებით მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობით აქტიურად დაიწყოს მუშაობა ტურისტული განვითარების გეგმაზე, გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა და მეტი ინვესტიცია ჩაიდოს ადგილობრივი მეწარმეების განათლებაში. ადგილობრივი მეწარმეები თვლიან, რომ მნიშვნელოვანია:

- ონი მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტული ბრენდის ჩამოყალიბება
- ინფრასტრუქტურის განვითარება ტურისტის მიღებისა და გამასპინძლებისთვის
- ადგილობრივ გლეხებთან და სოფლის მეურნეობაში ჩართულ ადამიანებთან თანამშრომლობა
- ფესტივალების, გამოფენების და ა.შ. აქტივობების გამართვა
- გასტრო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის პოპულარიზაცია
- სალაშქრო ბილიკების მოწესრიგება და მარკირება
- ფინანსური მხარდაჭერისთვის ძალების გაერთიანება
- კომუნიკაციის გაღრმავება კლასტერის შიგნით არსებულ აქტორებთან

თვისებრივმა კვლევამ გამოაჩინა, რომ ონის მუნიციპალიტეტის თემში არსებული პრობლემები კომპლექსური, მრავალშრიანი და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. გამოწვევების უმეტესობა დადასტურდა როგორც რაოდენობრივ, ასევე სამაგიდე კვლევის მიმოხილვისას, თუმცა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მნიშვნელოვანია, როგორც კონკრეტული გამოწვევების მოგვარების, ასევე თემის გააქტიურებისთვის.

რეკომენდაციები

აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა იმ გამოწვევებისა და საჭიროებების მასშტაბი, რომელიც ნებისმიერი თემის ეფექტური ფუნქციონირებისთვისაა მნიშვნელოვანი. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაციები დაეფუძნა როგორც სათემო ლიდერებისა და ადგილობრივი მეწარმეების ხედვას, ასევე რაოდენობრივი და სამაგიდე კვლევის შედეგად მიღებულ მიგნებებს:

რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობისთვის:

- თემის განვითარების აქტივობებში მოსახლეობის ჩართულობის მნიშვნელობის გაზრდა მათთვის მუდმივი და თანმიმდევრული ინფორმაციის მიწოდებით, როგორც ელექტრონული, ასევე სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის სოფლის წარმომადგენლის ან სათემო ლიდერების მეშვეობით.
- თანამშრომლობის გარღმავება სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციებთან თემის საჭიროებების უკეთ გაგებისა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისთვის
- ინფრასტრუქტურული სამუშაოების გაჭიანურების შემთხვევაში მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილი სამუშაოების დასრულების შესაძლო პერიოდთან დაკავშირებით
- თანამშრომლობის გარღმავება ადგილობრივ და დიდ ბიზნეს ორგანიზაციებთან ტურიზმის განვითარების მიმართულებით საჭირო ინფრასტრუქტურული თუ სხვა ტიპის პროქტების დაგეგმვაში
- ონის, როგორც ტურისტული ბრენდის ჩამოყალიბებაში ადგილობრივი მეწარმეებისა და სათემო ლიდერების ჩართულობა

რეკომენდაციები სათემო ლიდერებისა და სათემო ორგანიზაციებისთვის:

- მოსახლეობის, განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება აქტიური მოქალაქეობის, თემის განვითარების პროცესებში მონაწილეობისა და მისი ფორმების შესახებ
- ადგილობრივი მოსახლეობისგან ზეპირი ისტორიების და ინფორმაციის შეგროვება სოფლის, არსებული ტრადიციისა და ღირსშესანიშნაობების შესახებ
- 60+ ადამიანების საჭიროებებზე მორგებული აქტივობების დაგეგმვა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა

- დასახლების საერთო კრებების წინ სოფლის მაცხოვრებლების გამოკითხვა, მათი საჭიროებების მონიშვნა და მომზადება სოფლისთვის საჭირო აქტივობების თუ პროგრების პრიორიტიზაციისთვის
- ადგილობრივი მეწარმეების ბაზის მომზადება და მათი პროდუქციის შესახებ ინფორმაციის შეკრება
- ადგილობრივი მეწარმეების ჩართულობა სხვადასხვა ტიპის მასტერკლასებსა და ვორკშოპებში როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტებისთვის;
- ადგილობრივი მეწარმეებისთვის შეთავაზების პაკეტების შექმნაში დახმარება და მათი გააქტიურება სოციალურ ქსელებში;
- ადგილობრივი მეწარმეების გადამზადება ბიზნესის მართვის, სოციალური მედიისა და მართვის და საკომუნიკაციო ინგლისურის მიმართულებით;

რეკომენდაციები ადგილობრივი მეწარმეებისთვის:

- ტურიზმის კლატერისა და კვების მრეწველობის კლასტერის შიგნით აქტივობების დაგეგმვა და ადგილობრივ მეწარმეებთან თანამშომლობის გაღრმავება
- ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებთან ერთად მეწარმეებისთვის საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა
- ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა ტურისტული ნიშის შექმნისა და ონის, როგორც ტურისტული ბრენდის მშენებლობისთვის
- მასტერკლასების, ვორკშოპებისა და სხვადასხვა ტიპის აქტივობების დაგეგმვა ტურისტებისთვის, მათ შორის გასტროტურიზმის მიმართულებით;